

მუსიკალური მონაცემების ინტეგრაცია ადამიანის ევოლუციის ზოგადი სურათის ჩამოსაჯალიბებლად.

Steven Brown

საიმონ ფრეიხერის უნივერსიტეტი, კანადა

### სარედაქციო შენიშვნა

სტივენ ბრაუნი არის ამერიკელი ნეიროლოგი და მუსიკოლოგი, მუსიკის ევოლუციის საკითხების წამყვანი სპეციალისტი. მან დოქტორანტურა გაიარა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, რის შემდეგაც მუშაობდა პარიზის პასტერის ინსტიტუტში, სტოკჰოლმის კაროლინკას ინსტიტუტის ბიომუსიკოლოგიის კვლევით ცენტრში, ტუხასის სან-ანტონიოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ცენტრში და ვანკუვერის (კანადის) საიმონ ფრეიხერის უნივერსიტეტში. სტივენ ბრაუნი იყო ჩამოსული თბილისში და მოხსენებით გამოვიდა 2002 წლის ტრადიციული მრავალხმიანობის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

ეს რეცენზია დაიწერა სტივენ ბრაუნის მიერ 2007 წელს სპეციალურად იმისათვის, რომ იოსებ შორდანიას წიგნი გამოცემულიყო ხელმეორედ, ევროპაში ან ამერიკაში. წიგნის მეორე გამოცემა პორტუგალიაში დაგეგმილია 2008 წლის ბოლოსათვის. ეს იქნება რეცენზიაში განხილული წიგნის ახალი, შესვებული გამოცემა, რომელსაც თან დაერთვება მსოფლიოს სხვადასხვა მრავალხმიანი კულტურების ჩანაწერები (2 კომპაქტდისკი) და მრავალხმიანობის გავრცელების რეგიონების რუკები (15 რუკა).

**ნიკოლოზ გულაბერისძე თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, მცხეთა, 2007, 206 გვ.**

კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე (XII ს-ის მეორე ნახევარი) საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა, რომელიც აქტიურ საეკლესიო და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სამწერლო-მთარგმნელობით მუშაობასაც. მას, სახელდობრ, უთარგმნია წმ. მაქსიმე აღმსარებლის მრავალი თხზულება, დოგმატიკურ-პოლემიკური და ეგზეგეტიკური შინაარსისა. ორიგინალური ნაშრომებიდან კი ჩვენამდე მოღწეულია მისი „საკითხავი სუეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისად“, რომელშიც ჩაურთავს სვეტიცხოვლის დღესასწაულისათვის განკუთვნილი საეკლესიო განგება („დასდებელნი და გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ და სხვ.).

სვეტიცხოვლის „საკითხავი“ და „გალობანი“ მრავალმხრივ საუქრადლებო ნაწარმოებია, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება საისტორიო თხრობა, მისტიკურ-საღმრთისმეტყველო მსჯელობა და ბრწყინვალე მხატვრული ფორმით შესრულებული ქება და შესხმა. სვეტიცხოვლის სასწაულთან და საკათალიკოსო ტაძრის აგებასთან დაკავშირებული გადმოცემების ფონზე ავტორი განიხილავს ქართველი ერისათვის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და კულტუროლოგიურ საკითხებს; ასაბუთებს ამ ერის რჩეულობასა („სახეპურობას“) და საღმრთო დანიშნულებას; განადიდებს მისდამი ღმრთივმიმადლებულ სამ სიწმიდეს (ცხოველ სვეტს, საუფლო კუართსა და კათოლიკე ეკლესიას), რომელსაც, ერთიანობისა და განუყოფლობის ნიშნით, წმიდა სამების გამომხატველად მიიჩნევს.

სვეტიცხოვლის „საკითხავი“ და „გალობანი“ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ გვიანდელი (XVII-XVIII სს.) ხელნაწერებით, რომლებშიც ტექსტი იმ სახით ვეღარაა შენარ-

ჩუნებული, როგორც იგი ავტორის ხელიდან გამოვიდა და იმდენადაა შერყვნილი მრავალგზისი გადაწერის შედეგად, რომ ტექსტობრივი ხარვეზების, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომების გარდა, მასში ბევრია ისეთი ადგილებიც, რომლებშიც ცალკეული სიტყვების დამახინჯების გამო კონტექსტი ბუნდოვანი ან სრულიად გაუგებარი ხდება. ავტოგრაფთან მიხლოებული სანდო ნუსხის უქონლობის გამო ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების ვერც ერთმა გამომცემელმა დღემდე ვერ შეძლო, სავსებით გაეწმინდა და გაემართა ტექსტი.

პირველი პუბლიკაცია „სვეტიცხოვლის საკითხავისა“ ეკუთვნის მიხეილ საბინინს (1882 წ., სანქტ-პეტერბურგი), მეორე — მღ. ვასილ კარბელაშვილს (1908 წ., თბილისი). ნიკოლოზ კათალიკოსის საგალობლების გამოყენებით შედგენილი სვეტიცხოვლის „გიხაროდენი“, ანუ „დაუჯდომელი“ 1917 წელს გამოსცა დეკ. კორნელი კეკელიძემ. ამ გამოცემის ტექსტი გამოერებულ იქნა „საქართველოს ეკლესიის კალენდრის“ 1977 და 1988 წლების გამოშვებებში, აგრეთვე ქართული მწერლობის ძეგლების რამდენიმე ანთოლოგიასა და საღმრთისმსახურო დანიშნულების გამოცემებში.

სვეტიცხოვლის მონასტრის მამათა დაკვეთით ძველი ქართული პოეზიის მკვლევარმა ნესტან სულავამ დიდი შრომა გასწია ნიკოლოზ გულაბერისძის ორიგინალურ თხზულებათა ტექსტის დადგენისა და ყოველმხრივი გამოკვლევისათვის. ამ შრომის ნაყოფია 2007 წელს მცხეთაში გამოცემული წიგნი: „ნიკოლოზ გულაბერისძე, თხზულებანი“. გამოცემა ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 30-ე წლისთავს.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი (გვ. 5-82) ეთმობა „სვეტიცხოვლის საკითხავისა“ და „გალობანის“ კრიტიკულ ტექსტებს, დადგენილს ორი ხელნაწერის (A130 და A160) მიხედვით. მკვლევრის დაკვირვებით, სწორედ ამ ხელნაწერებს დაუცავს თხზულების ტექსტი უკეთესად, სხვა ხელნაწერებთან შედარებით, თუმცა არც ისინია თავისუფალი სხვადასხვა სახის ცთომილებათაგან. პუბლიკაციაში შეძლებისამებრ აღდგენილია ის ენობრივი ნორმები და ორთოგრაფია, რომლებიც, მკვლევრის აზრით, ავტორისეულ დედანში უნდა ყოფილიყო.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებათა ახალი გამოცემა ტექსტობრივი სიზუსტის მხრივ მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ადრინდელ პუბლიკაციებთან შედარებით. მკვლევარს შეუსრულებია სკრუპულოზური ტექსტოლოგიური კვლევა, რის შედეგადაც ადრინდელი გამოცემების მრავალი ბუნდოვანი ადგილი გამართული და გასწორებულია. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერები აბსოლუტური ტექსტობრივი სიზუსტისა და დედნისეული უბიწოების აღდგენის საშუალებას არ იძლევიან, რის გამოც ნ. სულავას გამოცემაშიც შევხვდებით აჭა-იქ ბუნდოვან ადგილებს, ტექსტის შემდგომი დაზუსტების საჭიროებაზე რომ მიგვითითებენ, მაგრამ თხზულების ის რედაქცია, რომელიც მკვლევარმა შემოგვთავაზა, ვფიქრობთ, დიდად აღარაა დაცილებული მის პირველსახეს.

წიგნის მეორე ნაწილია ვრცელი გამოკვლევა (გვ. 83-180), რომელიც ნიკოლოზ გულაბერისძის ორიგინალურ შემოქმედებას მრავალი ასპექტით განიხილავს:

შესავალში თავმოყრილი და გაანალიზებულია ბიოგრაფიული ცნობები ნიკოლოზ კათალიკოსის შესახებ; წარმოჩენილია მისი ბრწყინვალე პიროვნული თვისებები, ეკლესიის სიწმიდისა და სახელმწიფოს ძლიერებისათვის მისი დაულალავი შრომა და გარჯა. პირველწყაროებზე დაყრდნობით გაცოცხლებულია სურათები კათოლიკოსობიდან მისი გადადგომისა, საზღვარგარეთ მოღვაწეობისა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამეფო ხელისუფლებისადმი აქტიური მხარდაჭერისა და ეკლესიაში ჩანსადი ატმოსფეროს შექმნისათვის მისი ზრუნვისა (გვ. 83-103).

მომდევნო თავები ეთმობა ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებათა წყაროების, ხელნაწერებისა და გამოცემების მიმოხილვას (გვ. 103-105), „სვეტიცხოვლის საკითხა-

ვის“ დათარიღებას (გვ. 105-109), ავტორის მსოფლმხედველობის წარმოჩენას (109-123). მკვლევრის აზრით, მესიანური იდეა, რომელიც მკვეთრადაა გაცხადებული ნიკოლოზ კათოლიკოსის თხზულებაში, IV საუკუნიდან მოყოლებული, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდანვე, თანდათანობით ყალიბდებოდა, როგორც სამეფო იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი. „პოლიტიკური იდეოლოგიის უმთავრესი ღერძი იყო დინასტიურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ალუზიას ემყარებოდა, როგორც ღვთიურ ცხებულებაზე მიმანიშნებელი, ხოლო ქრისტიანული სიწმიდეების ფლობით ცივილიზაციურ გეოპოლიტიკაში ჩართული საქართველო ახალ ერად, სახეპურო ერად, ზეცისა ერად მოველინა ქრისტიანულ სამყაროს. ქართულ ლიტერატურაში, საისტორიო თხზულებებში იდეოლოგიურ პრობლემათა აქცენტირება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წინსვლის საქმეს ემსახურებოდა და მომავლის პერსპექტივებს სახავდა. ქართველ ერს, საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური მრწამსი აკისრებდა ეროვნულ და სულიერ მისიას, რაც საღვთისმეტყველო, ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის წიაღში შექმნილი საგანგებო ტერმინით — „ერი სახეპუროთი“ — წარმოჩნდა და გამოიხატა“ (გვ. 123).

ცალკე თავი ეძღვნება „სვეტიცხოვლის საკითხავის“ უანრობრივი რაობის განსაზღვრას (გვ. 124-126). მკვლევრის შეფასებით, ესაა პოლიქანრული თხზულება, რომელშიც შეხავებულია ჰაგიოგრაფიული, ჰომილეთიკური და ჰიმნოგრაფიული მწერლობისათვის დამახასიათებელი პასაჟები, მაგრამ წმინდა სახით იგი არც ერთ ამ უანრს არ შეიძლება მიეკუთვნოს. რადგანაც ამგვარი პოლიქანრულობით ხასიათდება პანეგირიკული (სახეიმო-სადღესასწაულო საკითხავად გამიხნული) თხზულებები, მკვლევრის მართებული დასკვნით, „სვეტიცხოვლის საკითხავიც“ პანეგირიკული მწერლობის ძეგლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ნაშრომის უდიდესი ნაწილი ეთმობა „სვეტიცხოვლის საკითხავის“ მისტიკურ-სახისმეტყველებითი პლასტის შესწავლას (გვ. 126-161). უფლის კვართის, ცხოველი სვეტისა და კათოლიკე ეკლესიის, როგორც სიმბოლოს, განხილვის შედეგად მკვლევარი ასკვნის: „ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავისა“ და „გალობათა“ მიხედვით, „სუეტი ნათლისა“, „სუეტი ცხოველი“ პოლისემიურ სიმბოლოდ მოიაზრება. იგი არის: 1. „შეერთებულისა ღმრთისმეტყველების“ მიხედვით, ღმერთის, სამების სახე-სიმბოლო; 2. „განყოფილისა ღმრთისმეტყველების“ მიხედვით — მამა ღმერთი; 3. ამავე პრინციპის მიხედვით, — ქრისტე, ძე ღმერთი; 4. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი... 6. „სუეტი ნათლისა“, „სუეტი ცხოველი“ სიმბოლურად მცველია საქართველოსი და ქართველებისა“ (გვ. 140).

ამავე ნაწილშია განხილული წმიდა ნინოს, მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას სახეები, სასწაულები და ჩვენებანი.

დასასრულ, ავტორი ეხება „გალობათა“ პოეტიკასა და სიმბოლიკას (ნათლისა და ოქროს სიმბოლიკა და სხვა) (გვ. 168-180). სვეტიცხოვლის საგალობლები შეფასებულია, როგორც ბრწყინვალე მხატვრული ქმნილებები, ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობის დიდებული ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე.

ნაშრომს ერთვის საძიებლები (გვ. 184-187), „სვეტიცხოვლის საკითხავისა“ და „გალობათა“ არქაიზმების ლექსიკონი (გვ. 188-199) და რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

წიგნი შემკულია ფერადი და შავ-თეთრი ილუსტრაციებით (სვეტიცხოვლის ხედები, ტაძარში დაცული ჭვარ-ხატები), და, საერთოდ, გამოცემის გარეგნული მხარე, შეიძლება ითქვას, ურიგო არაა, თუმცა ასეთ მნიშვნელოვან ნაშრომს, ვფიქრობთ, უკეთესი პოლიგრაფიული ხარისხი შეეფერებოდა.

**ექვთიმე კოჭლამაზაშვილი**